603 ~ 10278

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

2 დეკემბერი, შაბათი, 1989 წ.
№ 230 (10 149) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## სხვაობა მხოლოდ ერთი ქულაა

ვოლჟსკში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა 49-ე საკავშირო ჩემპიონატის დამთავრებამდე ხუთი ტურით ადრე ქეთევან კახიანი უკვე მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება შეჯიბრების ლიდერებს. ტურნირის ეს მონაკვეთი მართლაც შთამბეჭდავად განვლო თბილისელმა საერთაშორისო ოსტატმა. მან ჯერ იყო და პრუდნიკოვასა და ხარკოვას სძლია (ამის შესახებ უკვე იციან „ლელოს" მკითხველებმა), XI და XII ტურებში კი დაამარცხა პიატიგორსკელი საერთაშორისო დიდოსტატი ვალენტინა კოზლოვსკაია და დაუზავდა ნოვოსიბირსკელ საერთაშორისო ოსტატს იულია დიომინას.

კოზლოვსკაიასთან შეხვედრაში კახიანი თეთრი ფიგურებით თამაშობდა, ძველინდურ დაცვაში მან დებიუტშივე კარგი პოზიცია მიიღო, მისი მეტოქე შედარებით პასიურობდა, როგორღაც შებოჭილად მოქმედებდა. ქართველმა მოჭადრაკემ ნელ-ნელა დაიპყრო სივრცე, რის შემდეგაც მხედარი d6 უჯრაზე შეიჭრა. პიატიგორსკელ დიდოსტატს როგორმე თავიდან უნდა მოეშორებინა არასასურველი „სტუმარი". ამიტომაც მან სასწრაფოდ გაცვალა ეს ფიგურა, მაგრამ ის ველარ გაითვალისწინა, რომ მის სანაცვლოდ მეტოქე გამსვლელ პაიკს უმზადებდა. სწორედ ამ პაიკმა გადაწყვიტა პარტიის ბედი. კოზლოვსკაია ცაიტნოტში მოექცა და მალე საათი ჯაჩერა.

უფრო მშვიდად მიმდინარეობდა დიომინა—კახიანის პარტია. გათამაშდა კატალონიური დაცვა. ორივე მეტოქე ბევრს ფიქრობდა, კახიანმა გაათანაბრა პოზიცია, რამდენიმე ფიგურა გაიცვალა და მეტოქეებმა თამაშის გამწვავებას დაზავება ამჯობინეს.

ზემოთ ვთქვით, ბოლო ოთხ ტურში კახიანმა 3,5 ქულა მოაგროვაო. მაგრამ ჩემპიონატის ამ მონაკვეთის გმირი ნამდვილად გულნარა სახატოვაა — ალმაათელმა საერთაშორისო ოსტატმა ზედიზედ 4 პარტია მოიგო და დაეწია ლიდერებს. ახლა სახატოვას, აინურ სოფიევასა და ზოია ლელჩუკ-პოპოვას 8-8 ქულა აქვთ. 7,5-7,5 ქულა მოაგროვეს ირინა ჩიოლუშკინამ და დიომინამ. ქეთევან კახიანსა და ნინა სიტნიკოვას 7-7 ქულა აქვთ. შემდეგ მოდიან ლიდია სემიონოვა — 6,5 (2), მარია ნეპეინა, მარინა შერემეტიევა—6-6, ვალენტინა კოზლოვსკაია —5,5 (1), ფირუზა ველიხანლი — 5, სვეტლანა პრუდნიკოვა — 4,5 (1), ელენა ხარკოვა, ფლორა უსკოვა — 4,5-4,5, რენატა დომკუტე, ანდა შაფრანსკა, ირინა უმანსკაია — 3,5-3,5.

მორიგ, XIII ტურში კახიანი დომკუტეს ხვდებოდა, შემდეგ კი მას მეტად სერიოზული მეტოქე ჰყავს,— გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი ზოია ლელჩუკ-პოპოვა. ეს პარტია, ალბათ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იქნება მთელ ჩემპიონატში.

ახლა კი გაგაცნობთ XI და XII ტურების ტექნიკურ შედეგებს.

**XI ტური:** ლელჩუკი — ნეპეინა 0:1, ჩიოლუშკინა — დომკუტე 1:0, შერემეტიევა — დიომინა 0,5:0,5, კახიანი — კოზლოვსკაია 1:0, სემიონოვა — ხარკოვა 1:0, სიტნიკოვა — პრუდნიკოვა 1:0, სახატოვა—სოფიევა 1:0, უსკოვა — უმანსკაია 0,5:0,5, შაფრანსკა — ველიხანლი 0,5:0,5; **XII ტური:** ნეპეინა — ველიხანლი 1:0, უმანსკაია — შაფრანსკა 1:0, სოფიევა — უსკოვა 0,5:0,5, პრუდნიკოვა — სახატოვა 0:1, ხარკოვა — სიტნიკოვა 1:0, დიომინა—კახიანი 0,5:0,5; დომკუტე — შერემეტიევა 0:1, ლელჩუკ-პოპოვა — ჩიოლუშკინა 1:0. გადაიდო კოზლოვსკაია — სემიონოვას შეხვედრა.

„ლელოს" კორ.

IRFB

## გაგვიცნეს, შეგვპირდნენ...

**ახლახანს ინგლისიდან დაბრუნდნენ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი ალექსი ბოცირიძე და კავშირის მდივანი, საქართველოს სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი დავით კილასონია, რომლებიც იქ რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) ეგიდით მოწყობილ რაგბის კავშირთა ყრილობაში მონაწილეობდნენ. „ლელოს" მიმომხილველი ეწვია კავშირის მდივანს და სთხოვა მოეთხრო ყველაფერი, რაც კი, მისი აზრით, ქართულ სარაგბო საზოგადოებასა და გულშემატკივრებს დააინტერესებთ.**

ყრილობა 22-24 ნოემბერს მიმდინარეობდა ლონდონის მახლობლად, სარის საგრაფოს პატარა ქალაქ ვეიბრიჯის სასტუმრო „ოუტლენდ ფარქში", რომელიც ამგვარ შეკრებულობათა გასამართავად ყოფილა მოწყობილი. ბატონ ალექსისა და ჩემს გარდა, ყრილობას ესწრებოდა ინგლისში სტუმრად მყოფი ქართველი მანდილოსანი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედინსტიტუტისა და საქართველოს ტელევიზიის თანამშრომელი თამრიკო ჰუმბურიძე, რომელმაც იკისრა კიდეც თარჯიმნობა.

ყრილობამ ირბ-ის წევრი და წევრობის მსურველი 43 ქვეყნიდან 37-ს მოუყარა თავი. სრულ კრებას მხოლოდ რუმინეთის, პოლონეთის, ურუგვაის, პარაგვაის, მალაიზიისა და კოტდივუარის (სპილოს ძვლის ნაპირის) წარმომადგენლები აკლდნენ. ისინი კი, ვინც ჩამოვიდნენ, ადმინისტრაციამ პირობითად ოთხ „სახელოსნოდ" დაჰყო და განსახილველად უამრავი მასალა ჩამოურიგა.

ყრილობის ოფიციალური თემა იყო „დავგეგმოთ ცვლილებები", რაც იმას ნიშნავს, რომ „სახელოსნოებში" და საერთო სხდომებზე იხილებოდა მსოფლიოში სამოყვარულო რაგბის განვითარება-გავრცელების ხუთწლიანი გეგმა, რომელიც ირბ-მ შეიმუშავა და რომლის მოქმედების ვადა 1991-1995 წლებს მოიცავს. ეს გეგმა 1990 წლის მარტში, ირბ-ის წლიურ სხდომაზე მიიღებს საბოლოო სახეს და, უეჭველია, საქართველოსაც გადმოსწვდება.

ამის თქმის უფლებას მაძლევს ყოველივე ის, რაც ინგლისში ყოფნისას მოვიმოქმედეთ, მოვისმინეთ და ვნახეთ. არადა, ყრილობაზე მართლაც დიდ იმედებს ვამყარებდით და მისთვის საგულდაგულოდ ვემზადებოდით. შევადგინეთ ყველა საჭირო საბუთი, წინდაწინ დაწვრილებით გავარჩიეთ ყველა საკითხი, რაზეც კი ყრილობაზე მსოფლიო რაგბის „მამებთან" უნდა გვესაუბრა. გარეგნულ მხარეზეც ვიზრუნეთ. როგორც ყველა ნორმალურ „სარაგბო ქვეყანაშია" მიღებული, შევიკერეთ კავშირის ემბლემიანი კოსტუმები, დავამზადებინეთ ემბლემიანი ყელსახვევებიც, სხდომებსა და წვეულებებზე საკადრისად რომ წარმვდგარიყავით. გარდა ამისა, ინგლისს ქართული სასმელი და ორიგინალური სუვენირებიც წავიყოლიეთ, რაც ერთობ გამოგვადგა.

ყრილობისათვის სამზადისის მთელი სიმძიმე კავშირის პრეზიდენტს დააწვა მხრებზე. არანაკლებ დაგვეხმარნენ საქართველოს მშვიდობის ფონდი და საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომლებმაც უმტკივნეულოდ მოგვიგვარეს არაერთი საკითხი, მავანნი და მავანნი გადაულახავ წინაღობად რომ გვიქცევენ ხოლმე. აქ, პირველ ყოვლისა, რაღა თქმა უნდა, ვიზების გაცემას ვგულისხმობ.

ამგვარად, საერთო ძალისხმევით მოვხვდით მსოფლიო რაგბის ფორუმზე, შესაძლებლობა მოგვეცა პირისპირ შევხვედროდით ირბ-ის უზენაეს ხელმძღვანელობას და მისთვის გაგვეცნო საქართველო თავისი რაგბითურთ. ამ ამოცანის შესასრულებლად მონდომება არ დაგვიკლია. ყრილობის დღეებში დამსწრეთაგან ჩვენზე მეტად, ალბათ, არავინ გარჯილა: დილის რვა საათიდან მოყოლებული, შუაღამემდე ვეცნობოდით, ვუამხანაგდებოდით, ვესაუბრებოდით ყრილობის მასპინძლებსა და სტუმრებს, ვაცნობდით ჩვენს ქვეყანას, სამომავლო კონტაქტებს ვუთანხმებდით. ამაში დიდად გვიწყობდა ხელს ის თბი

იხ. გვ. 2 გვ



## თბილისის „დინამო" ისრაელში

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად იმყოფებიან ისრაელში. თბილისელებმა პირველი შეხვედრა გამართეს ისრაელის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან ქ. ხაიფას „მაკაბისთან" და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0.

## ორგზის გმირგვინოსანი

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ჯემალ მჭედლიშვილის გზა დიდ სპორტში ქართული ჭიდაობით დაიწყო. ქარელის რაიონის სოფელ ზემო ხვედურეთში ყველაზე დაფასებული ხალხი მკლავმაგარი ფალავნები იყვნენ და ახალგაზრდები ცდილობდნენ მათთვის მიებაძათ. ჭიდაობა სოფლელი ბიჭუნებისთვის ცხოვრების წესი იყო, თვითდამკვიდრების თავისებური საშუალება და დღე და ღამეს სოფლის საჭიდაო სარბიელზე ატარებდნენ.

ჯემალ მჭედლიშვილმა, თანატოლებში გამორჩეულმა ახალგაზრდამ იმთავითვე აუღო ალღო ქართულ ჭიდაობას და გამოცდილი მწვრთნელის გურამ პაპიტაშვილის ყურადღება მიიქცია. ეს იყო, მართლაც, ბედნიერი შემთხვევა — მწვრთნელმა და აღსაზრდელმა, ოსტატმა და შეგირდმა უსიტყვოდ გაუგეს ერთმანეთს. გურამ პაპიტაშვილს ტალანტების აღმოჩენის გასაოცარი უნარი აქვს. სწორედ ამ უნარს უნდა უმადლოდეს საქართველო ხალიჩის ბევრი სახელოვანი ოსტატის წარმატებას, იმას, რომ ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ ყველა დონისა და რანგის ჩემპიონებით. ჯემალ მჭედლიშვილიც ერთი მათგანია, ვინც შორს გაუთქვა სახელი გურამ პაპიტაშვილის სკოლას.

ჯემალი თავდაპირველად ძიუდოისტი იყო. როგორც ძიუდოისტმა მოიგო მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა, ახალგაზრდული პირველობა, გახდა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პრიზიორი. მერე მის წინაშე ძნელი არჩევანი დადგა. იმხანად სამბისტთა რესპუბლიკური ნაკრების უფროსი მწვრთნელი ანზორ ზურაბაული იყო. სწორედ ის მიხვდა, რომ ჯემალის ჭიდაობის მანერა, სტილი სამბოსაც გამოადგებოდა და ჭიდაობის ამ სახეობაში გამოსვლა შესთავაზა. მცირედი ყო-



ჯემალ მჭედლიშვილი

ყმანის შემდეგ და გურამ პაპიტაშვილის დასტურით გაკეთდა არჩევანი, რომლის შედეგი დღეს ყველამ კარგად ვიცით.

ამ დღეებში ჯემალ მჭედლიშვილმა მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი სამბოში. ამ ჩემპიონატის შედეგების შესახებ ჩვენს პრესაში ფაქტიურად არაფერი დაბეჭდილა და ამიტომ გადავწყვიტეთ ჯემალთან საუბარი.

**● მსოფლიო ჩემპიონატს, რომელიც ახლახან დამთავრდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სხვაგვარად სამბოს მსოფლიო ფესტივალსაც უწოდებენ. იქნებ განგვიმარტოთ, რატომ?**

იხ. გვ. 2 გვ.



თბილისის პირველი საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში

## „მიხეილ მესხი-89"

უჩვეულოდ ლამაზად, მართლაც ელეგანტურად გამოიყურება თბილისის სპორტის სასახლის სარბიელი — გუმბათქვეშ შეჯიბრებაში მონაწილე ქვეყნების დროშები ჰკიდია, თალებს მოხდენილად შესრულებული ფეხბურთში მსოფლიოს თორმეტივე ჩემპიონატის უზარმაზარი აფიშები ამშვენებს, თვითონ ასპარეზი კი „შემოკავებულია" ტურნირის სპონსორების სარეკლამო ფარებით. ესაა მხოლოდ, რომ ორგანიზატორებმა ვერ დააგეს შეპირებული ხელოვნური საფარი, თუმცა ამას, როგორც გამოირკვა, ობიექტური მიზეზები აქვს.

— საქმე ისაა, რომ დასავლეთგერმანიის ქალაქ შტუტგარტიდან „სოვავტოტრანსის" ტვირთსაზიდი მანქანით წამოღებული საფეხბურთო ხალიჩა საბჭოთა ტერიტორიაზე, სადღაც ბრიანსკის მიდამოებში, შეაყოვნეს და ფეხბურთელებს თამაშების ჩატარება ჯერჯერობით სასახლის ჩვეულ საკალათბურთო ფიცარნაგზე უწევთ.

ყოველივე ამის შესახებ განუცხადა გუშინ შეჯიბრების წინ გამართულ პრესკონფერენციაზე შეკრებილ ჟურნალისტებს თბილისის საერთაშორისო ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა, სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ კახი ასათიანმა. გათამაშების რეგლამენტის შესახებ ილაპარაკა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა გიორგი ბაქანიძემ, აქვე ჟურნალისტებს წარუდგინეს მ. მესხის ტურნირის ატრიბუტიკის ავტორი — საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი გიორგი ავსაჯანიშვილი და რესპუბლიკის სამხატვრო ფონდის კომბინატ „ოპიზარის" თავმჯდომარე ვაჟა გაგოშიძე, რომლის ხელმძღვანელობით დამზადდა ტურნირის პრიზები, მედლები და სხვა სუვენირები.

...ზუსტად 18 საათზე და 30 წუთზე სასახლის თაღებქვეშ გაისმა ფეხბურთის პოპულარული მარშის მელოდია.

სარბიელზე მ. მესხის პრიზისთვის მებრძოლი გუნდები შემოდიან. ტურნირის დაწყებისათვის ჩამოსული იყო ოთხი გუნდი — თურქეთის, დასავლეთ ბერლინის, ზაარბრიუკენის ფეხბურთელები და ერევნის „არარატი", რომლებმაც თბილისის „დინამოსთან" ერთად პირველი მატჩები გამართეს.

აი მათი შედეგები: დასავლეთ ბერლინი — „დინამო" (თბილისი) 2:8, ზაარბრიუკენი — „არარატი" 3:3, თურქეთი — „დინამო" (თბილისი) 0:14.

• • •

**სპორტის სასახლის სალაროებში დღეს დილიდან კვლავ გაიყიდება ტურნირზე დასასწრები აბონემენტები, რომლის იღბლიანმა მფლობელმა შეიძლება მოიგოს ავტომანქანა „ჟიგული". ყოველ ათას მაყურებელზე გათამაშდება თითო ავტომანქანა — სულ 8. შესანიშნავი შანსია!**

# სიახლე: „ბაკურიანი–98“

**ცხოვრებამ** საერთოდ, კერძოდ კი უკანასკნელმა წლებმა უკვე თვალნათლივ დაგვანახვა, რომ საკუთარ თავს, საკუთარ ქვეყანას, საკუთარ კეთილდღეობას თავად უნდა მივხედოთ. ეს ეხება ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროს, მათ შორის სპორტსაც. აღარ არიან და, თუ სიმართლეს ვიტყვით, არც არასდროს ყოფილან „კეთილი ძიები“, რომლებიც ყოველგვარი ანგარების გარეშე, პრაქტიკულად და არა სიტყვით, გაგვიმართავენ ხელს, დაგეხმარებიან, რათა თუნდაც ერთი ნაბიჯით მაინც წაიწიო წინ, გაიუმჯობესო მდგომარეობა.

ალბათ გახსოვთ, რა ენთუზიაზმით აღიქვა ქართველმა ხალხმა ცნობა 1998 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობის კანდიდატებს შორის საქართველოს მარგალიტის, ბაკურიანის დასახელების შესახებ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ ცნობას თავიდანვე სდევდა ერთგვარი უნდობლობის განცდა. და აკი, საბოლოოდ, ეს „წინათგრძნობა“ გამართლდა კიდეც.



**საკავშირო** ოლიმპიურმა კომიტეტმა 1998 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობის კანდიდატად... სოჭი დაასახელა.

თავი დავანებოთ საუბარს იმის თაობაზე, თუ რამდენად მისაღებია, რამდენად ახლოა საღ აზრთან თავად იდეა ზამთრის თამაშების საზაფხულო კურორტზე ჩატარებისა.

საკავშირო სპორტის მესვეურები ანგარიშში არ ტყუვდებიან. რატომ და რისთვის გამოგვიყოფენ იმ უზარმაზარ თანხას, რომელიც სასტუმროებისა და სპორტული სარბიელების მოწყობას სჭირდება? იმისთვის კომ არა, რომ აშენდე, დამშვენდე და ერთ მშვენიერ დღეს...

ერთი სიტყვით, ამ წერილის პირველ სტრიქონებს უნდა დავუბრუნდეთ — საკუთარ თავს, საკუთარ ქვეყანას, საკუთარ კეთილდღეობას თავად უნდა მივხედოთ.

სწორედ ამ კეთილშობილური და საშური საქმის ერთ-ერთი რგოლი იქნება ის სიახლე, რომელსაც საქართველოს სპორტსახკომმა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სპორტული ლატარიების რესპუბლიკურმა სამმართველომ ჩაუყარეს საფუძველი.

1990 წლის პირველი კვარტლიდან რესპუბლიკაში (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით) დაიწყება ახალი, „სპრინტის“ ტიპის ლატარიის გათამაშება. „ბაკურიანი–98“ — ასე ეწოდება ფულისა და ნივთების ამ ახალ სპორტულ ლატარიას, რომელშიც გათამაშდება ერთი „ვოლგა გაზ 24-10“, ოთხი „ჟიგული ვაზ 21063“, სამი „ვაზ 2107“, სამი „ვაზ 2108“. გარდა ამისა, მოგებათა ნუსხაშია ექვსი ტელევიზორი „ივერია“, ხუთი ვიდეომაგნიტოფონი, ხუთი მაცივარი „მინსკი“, ფულადი მოგებები 3-დან 10.000 მანეთამდე. ერთი სერიის მოგების ფონდის საერთო თანხა მილიონი მანეთია, ბილეთების რაოდენობა კი — ორი მილიონი. „ბაკურიანი–98“ სპორტული ლატარიის ბილეთის ფასი 1 მანეთი იქნება. ჯერჯერობით ყოველ წელიწადს სარეალიზაციოდ გამოვა ბილეთების ორი სერია.

თითოეული სერიის რეალიზაციის შემდეგ მიღებული თანხა, მილიონი მანეთი, ბაკურიანის კეთილმოწყობას მოხმარდება. ეს, რა თქმა უნდა, ის თანხა არაა, რომელიც ამ დიდი საქმის საბოლოოდ მოგვარებას სჭირდება, მაგრამ მაინც საკმაოდ სოლიდური შენატანი იქნება საერთო ყულაბაში.

ვერაფერს იტყვი, ძალზე საჭირო და სასარგებლო თაოსნობაა. სურს ეს ვინმეს, თუ არ სურს, ბაკურიანი უნდა აშენდეს. ეს ჩვენს ერს სჭირდება, მომავალს, ჩვენს შვილებს სჭირდებათ.

სწორედ ამიტომ მხარი უნდა ავუბათ ამ წამოწყებას.

ვინ იცის, იქნებ არც ისე შორსაა ის დღე, როდესაც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ყოველგვარი „ზემოდან“ ნებართვის გარეშე, თავად წარადგენს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში განაცხადს ბაკურიანში ზამთრის ოლიმპიადის გამართვის თაობაზე. ცხადია, ამ დღეს ყოველმხრივ მომზადებული უნდა შევხვდეთ.

◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆

# გაგვიცნეს, შეგვიპირდნენ...

(დასასრული)

ლი, მეგობრული, ძალდაუტანებელი ატმოსფერო, რომელიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დამახასიათებელია მორაგბეთა და რაგბის მოღვაწეთა შეკრებებისათვის. ქართული სუფრისა არ იყოს, რაგბიშიც ხომ არაერთი საჭირბოროტო საკითხი წყდება ბანკეტებზე, წვეულებებზე, ან თუნდაც საკლუბო შენობაში, ლუდის დახლთან გულახდილი საუბრის დროს, ყელსახვევებისა და სამკერდე ნიშნების გაცვლა რომ სდევს თან.

ამგვარ შეხვედრებზე, ვფიქრობ, ურიგოდ არ გავრჯილვართ, რაკილა ყრილობის ბოლოს „ჯორჯია“ ყველას პირზე ეკერა, თავიდან კი, ერთი-ორი კაცის გარდა, ჩვენი არსებობის ამბავიც კი არავის ჰქონდა გაგონილი. ამის შედეგად ის მოვიმკეთ, რომ 28 კაცმა მოგვცა თავისი სავიზიტო ბარათი, ტელეკომპანია ბი-ბი-სის ყოველკვირეულმა სარაგბო მიმოხილვამ კი ჩვენგან ინტერვიუც აიღო; გარდა ამისა, მაროკომ და იუგოსლავიამ თამაში ეროვნულ ნაკრებთა დონეზე შემოგვთავაზეს, ჩეხოსლოვაკიელებს ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების მიწვევა სურთ, ჰოლანდიელებს — ქართველი ვეტერანებისა, იტალიელები ჩვენს ნორჩებს გაზაფხულზე დიდ საერთაშორისო ტურნირზე ეპატიჟებიან, ზიმბაბვეს რაგბის კავშირი 1991 წლისათვის საქართველოს ეროვნული ნაკრების ტურნეს მოწყობას გეგმავს თავის ქვეყანაში, 1990 წლის ნოემბერში ქართველი ვეტერანები ალბათ ირლანდიას გაემგზავრებიან საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად, გაისად კი, 31 მარტსა და 1 აპრილს, „ჰონკონგის შვიდკაცაში“, ფაქტიურად კი შვიდკაციანი რაგბის მსოფლიო ჩემპიონატში, რეალურია საქართველოს ეროვნული ნაკრების გამოსვლა. და ეს ყველაფერი როდია, რაკილა, როგორც მკითხველს მოეხსენება, გარკვეულ წრეებთან ყრილობამდეც გვქონდა მოლაპარაკება ინგლის-უელსსა და საქართველოს შორის რეგულარული სარაგბო კონტაქტების დასამყარებლად.

ამდენი მოწვევის მიღება, ცხადია, ერთობ სასარგებლოა, მაგრამ ყრილობაზე ჩვენი გამგზავრების მთავარი მიზანი ხომ უფრო ამაღლებული და სანუკვარი იყო. ირბ-ის მოკავშირე წევრად საქართველოს ცნობაზე მოგახსენებთ.

რაკილა ამ თემას მივადექით, აქვე ვიტყვი, რომ ჯერ კიდევ ზაფხულში, როცა საბჭოს ჯერ ოფიციალური მიმართვა, შემდეგ კი შევსებული განაცხადი გავუგზავნეთ, არც კი გვაეჭვებდა ჩვენი საბოლოო წარმატება. ამ მხრივ დიდად შეგვაგულიანა ირბ-ის მდივნის, უელსელი მოღვაწის, ბატონ ქის როულენდზის გულისხმიერებამ და პირდაპირობამ, რომელმაც პირველივე შეხვედრისას მიუკიბ-მოუკიბავად გვითხრა, „თქვენი შინაური საქმეებისა თქვენ იცით, ჩვენ კი სიამოვნებით მიგიღებთ, თუკი მსოფლიოში გამოსვლა გსურთო“, და თანადგომაც აღგვითქვა. მართლაც, ბატონმა როულენდზმა შემდგომში ისეთი ამაგი დაგვდო, საერთოდ ჩვენს დროში ძნელი დასაჯერებელი რომაა. მან შეასრულა პირობა და ირბ-ის ხარჯით საქართველოს ორი წარმომადგენელი ყრილობაზე მეთვალყურეებად მიგვიწვია, იქ კი ვის აღარ გააცნო ჩვენი თავი და არაერთი რჩევითაც შეგვეწია. მდივანმა საგანგებო შეხვედრა მოგვიწყო ირბ-ის უზენაეს ხელმძღვანელობასთან — საბჭოს თავმჯდომარესთან, პროფესორ ფრიც ელოფთან, ვიცე-თავმჯდომარესთან, ბატონ სმითთან, საპოლიტიკო კომიტეტის თავმჯდომარესთან, ჯონ ქენდოლ-ქარფენთერთან, რომელიც უძღვებოდა კიდეც ყრილობას. ამ შეხვედრაზე მასპინძლებმა მათთვის საინტერესო ინფორმაცია ამომწურავად მიიღეს და შეგვპირდნენ, რომ ირბ-ის უახლოეს სხდომაზე, რომელზეც წევრობის მსურველთა განაცხადებს განიხილავენ, საქართველოს უთუოდ ცნობენ საბჭოს მოკავშირე წევრად. თავად დავრწმუნდით, რომ მსოფლიო რაგბის „მამები“ სიტყვის ხალხია, ამიტომ არავითარი საფუძველი არა გვაქვს, რომ დაგვაეჭვოს მათმა დაპირებამ. (ირბ-ის სხდომა ყრილობის დამთავრებისა და ჩვენების ინგლისიდან გამომგზავრების შემდეგ, 26-29 ნოემბერს მოეწყო თვიქნემში. ჩვენთვის საარსებო მნიშვნელობის გადაწყვეტილების ამბავს მიღებისთანავე გაცნობებთ. — რედ.).

ჩემი მონაყოლიდან ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება შეგექმნათ, რომ ინგლისში წინააღმდეგობა არ შეგვხვედრია და არც გასაჭირი დაგვდგომია. რა თქმა უნდა, არც უამისობა იყო. თუ ბრიტანელები და ირბ-ის სხვა „მუდმივი“ წევრები უმალ ჩასწვდნენ საქართველოსა და მისი რაგბის კავშირის სტატუსს და მსოფლიო აღიარებისათვის ჩვენი განაცხადი დასაბუთებულად და კანონიერად მიიჩნიეს, ზოგიერთმა „არასარაგბო ქვეყანამ“ — პორტუგალიამ, ბელგიამ, შვეიცარიამ, აქაოდა ჩვენც რამე გაგვეგებაო, ამ საკითხზე დისკუსია გაგვიმართა. აქაც ჩვენმა ოპონენტებმა დასაბუთებული პასუხი მიიღეს, თუმცაკი მათ აზრს ირბ-ისათვის, რომლის საპოლიტიკო კომიტეტშიც მხოლოდ „სარაგბო ქვეყნების“ წარმომადგენლები შედიან, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

უფრო აგვალეწლვეს ირბ-ის „აჩრდილის“, ე. წ. სამოყვარულო რაგბის საერთაშორისო ფედერაციის (ფირა) წარმომადგენლებმა, რომლებიც ყრილობას ესწრებოდნენ. მათ იაზრეს, რომ თუკი ირბ-ი საქართველოს მიიღებს, ჩვენ მაგალითს სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიც მიჰბაძავენ, რასაც შედეგად ის მოჰყვება, რომ ფირა-ს ხელთ მხოლოდ საბჭოთა კავშირად წოდებული რუსეთის ფედერაციაღა შერჩება. ამიტომ ფირა ეცადა, ირბ-ისთვის დაესწრო და წევრად მივეღეთ სასწრაფოდ, 15 დეკემბრამდე. ამას ჩვენ არ დავყაბულდით, რაკილა ირბ-ის ერთგულება გვმართებდა, ამასთან, კარგადაც ვიცოდით, თუ რა სხვაობაა ამ ორ ორგანიზაციას შორის: მსოფლიოს თასის გათამაშების მოწყობა, თამაშის წესების დადგენა, მსოფლიო მასშტაბით რაგბის მართვა ხომ ირბ-ის ხელთაა და არა ფირა-სი.

ჩვენგან უარი რომ მიიღო, ფირა შანტაჟზე გადავიდა და განგვიცხადა, „ჩემი თანხმობის გარეშე ირბ-ი ვერ მიგიღებთო“ (?!) მაგრამ საქმეში ისევ ბატონი როულენდზი ჩავრიეთ, რომელსაც ფირა-ს მუქარა სიცილადაც არ ეყო.

კიდევ რა დაგვამახსოვრდა ინგლისში ყოფნისას? რა თქმა უნდა, „ბარბაროსებისა“ და ახალზელანდიელების საჩვენებელი თამაში, რომელიც თვიქნემში გაიმართა და რომელსაც ყრილობის მონაწილენიც დავესწარით (ეს თამაში „ლელომ“ დაწვრილებით მიმოიხილა. — რედ). ტრადიციისამებრ, თამაშის წინ მოედანზე ინგლისის დედოფალი გამოვიდა და მოთამაშეებს გაეცნო. რაც შეეხება მატჩისშემდგომ გრანდიოზულ ბანკეტს, რომელიც „ჰილტონის“ სასტუმროში მოეწყო, მას ბატონი ალექსი გოცირიძეც დაესწრო.

აქვე შევნიშნავ, რომ საქართველოს უზენაეს საბჭოში მისმა დეპუტატობამ, საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის, ბატონ ნუგზარ ენდელაძისა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის, ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილის შუამდგომლობამ, რასაც მათ მიერ ხელმოწერილი ოფიციალური წერილები ადასტურებდა, ირბ-ის ხელმძღვანელობაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და დაარწმუნა, რომ საქართველოში რაგბი ერთობ პრესტიჟულ სპორტად შეიძლება იქცეს. სხვა ფაქტორებთან ერთად, უთუოდ ამანაც განაპირობა ჩვენს მიმართ საბჭოს კეთილგანწყობა.

დასასრულ, ქართული სპორტის მოღვაწეთათვის ერთ ფრიად საყურადღებო შეგონებასაც გაგანდობთ. ჩვენმა თავგადასავალმა ცხადყო, თუ რა მნიშვნელობა აქვს დაინტერესებულ მხარეთა შორის პირად კონტაქტებს, თუ რა სირთულის პრობლემების გადაჭრა ყოფილა შესაძლებელი გულღია, მეგობრული საუბრისას. ამიტომ ვურჩევთ სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებს, ესწრაფვოდნენ თავიანთ საერთაშორისო ფედერაციებთან კავშირს, ხელიდან არ გაუშვან კონტაქტის არცერთი შესაძლებლობა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მსოფლიო სარბიელზე გასვლა, თორემ სხვაგვარად, აბა, ვის გავახსენდებით, მით უფრო, თუ ბედის უკულმართობის გამო, დღევანდელ მსოფლიოში ცოტა ვინმე თუ გვიცნობს!

◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆

# ორგზის გვირგვინოსანი

(დასასრული)

— ფესტივალი ალბათ იმიტომ დაარქვეს, რომ ერთდროულად ოთხი მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა: ჭაბუკებში, ახალგაზრდებში, მოზრდილებსა და ქალებში.

● **რამ განაპირობა ამ ოთხი განსხვავებული ტურნირის ერთად მოწყობა?**

— კარგა ხანია, საკავშირო ფედერაცია იბრძვის, რომ სამბომ ოლიმპიური სტატუსი მიიღოს. ამ შეჯიბრებას სხვასთან ერთად სარეკლამო მნიშვნელობაც ენიჭებოდა და ვფიქრობ, საერთაშორისო ფედერაციამ მიზანს ერთგვარად მიაღწია.

● **არის თუ არა შანსი, რომ სამბო ოლიმპიური დისციპლინა გახდეს?**

— ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, მე ჩემი პირადი შთაბეჭდილებით ვატყობ, რომ ჭიდაობის ეს სახეობა ნელ-ნელა პოულობს ქომაგებს და პოპულარობასაც იხვეჭს. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში უკვე გატაცებით ჭიდაობენ და მაღალი კლასის ოსტატებიც ჰყავთ. ეს, პირველ რიგში, ითქმის ბულგარეთზე, მონღოლეთზე, ესპანეთზე. დაინტერესდნენ სამბოთი ამერიკელებიც, ეს კი ბევრს ნიშნავს, ერთი სიტყვით, ბოლო წლებში საგრძნობლად იზრდება სამბოს გეოგრაფია და ეს გვაძლევს ოპტიმიზმის საბაბს.

● **როგორ წარიმართა ბრძოლა ოქროს მედლისთვის თქვენს წონაში (ჯემალ მჭედლიშვილი, როგორც ცნობილია, 82 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა)?**

— ოთხი ბრძოლის ჩატარება მომიხდა. ესპანელი, ამერიკელი და ინგლისელი სამბისტები წმინდად დავამარცხე. ფინალში ბულგარელ მოჭიდავეს ქულებით ვაჯობე.

● **რომელიმე შეხვედრაში ეჭვის ქვეშ ხომ არ იდგა თქვენი გამარჯვება?**

— ეჭვზე ლაპარაკი ძნელია, როცა ოთხიდან სამ ბრძოლას წმინდად იგებ. ესპანელ იდარეტას, მაგალითად, კარგად ვიცნობდი. ვიცოდი, რომ იგი ფიზიკურად ძლიერია, მაგრამ ტექნიკაში მოიკოჭლებს. ასეთი მოჭიდავეები სულ ერთთავად შეტევაზე მიდიან და როგორც წესი ან იმარჯვებენ ან წმინდად მარცხდებიან. ვიცოდი, რომ იდარეტა, ადრე თუ გვიან, დაუშვებდა შეცდომას და ასეც მოხდა.

● **თქვენი ძირითადი მეტოქე ალბათ ბულგარელი პეტროვი იყო. როგორ წარიმართა მასთან შეხვედრა?**

— ჩვენი მწვრთნელები ცოტათი დაფრთხნენ, როცა 74 კგ წონაში ვალაბუევმა ფინალური ბრძოლა ბულგარელთან წააგო. ამ შეხვედრის შემდეგ სარბიელზე მე და პეტროვი გამოგვიძახეს. მწვრთნელებმა უამრავი რჩევა-დარიგება მომცეს, მაგრამ გულახდილად უნდა გითხრათ, მათთვის ყურადღება არ მიმიქცევია. პეტროვს ადრე არასდროს შევხვედრივარ, მაგრამ რაც წინა ბრძოლებში ვნახე, საკმარისი იყო ამ ნიჭიერი მოჭიდავის სტილის გასაგებად. პეტროვისთანა მებრძოლზე ამბობენ, რომ ჭიდაობას სხეულის ყველა ნაწილით გრძნობსო. ესე იგი მასთან ყურადღების მოდუნება არ შეიძლებოდა. ორივემ ბოლომდე, გაბედულად ვიჭიდავეთ. მე მეტოქეს ექვსი ქულა ავართვი, თვითონ ვერც ერთი ილეთი ვერ ჩამიტარა. გარეფეხს ვერ მოუხერხა ვერაფერი და ექვსივე ქულა ამ ილეთზე დამითმო.

● **წლეულს რაიმე ტურნირი თუ გაქვთ დაგეგმილი?**

— ახალ წლამდე თავისუფალი ვარ და დასვენების საშუალება მაქვს. მერე კი.., დაიწყება ახალი სეზონი და ახალი საზრუნავი გაჩნდება.. ვცდილობ, მათზე ჯერ არ ვიფიქრო.

მკითხველებს გვინდა შევახსენოთ, რომ ჯემალ მჭედლიშვილი ორჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1987 და 1989 წლებში), ორჯერ აქვს მოგებული საკავშირო თასი (1986 და 1988 წლებში). იგი, ამავე დროს, ევროპის ორგზის (1987 და 1989 წლები) და მსოფლიოს ორგზის (1987 და 1989 წლები) ჩემპიონია. გაისად, ალბათ, მისი რომელიმე წარმატება გასამდება.

◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆

კიდევ ერთხელ...

## „ამ აზრს სხვებიც იზიარებენ“

პატივცემულო რედაქცია!

წელს, 6 ივლისს „ლელოში“ გამოქვეყნებული იყო ჩემი წერილი — „ამ აზრს სხვებიც იზიარებენ“.

წერილში ვაყენებდით წინადადებას, რომ შეცვლილიყო წყალტუბოს ერთ-ერთი ქუჩის სახელი და გოგოლის მაგივრად მას მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის მაია ჩიბურდანიძის სახელი დარქმეოდა.

წერილის გამოქვეყნების შემდეგ ამ ქუჩის მცხოვრებლებმა განცხადებით მივმართეთ ქალაქის საბჭოს აღმასკომს. განცხადებაზე 57 მოქალაქე აწერდა ხელს.

აღმასკომში წინააღმდეგი არ წასულან, მაგრამ მაინც უარი გვითხრეს იმ მოტივით, რომ სანამ ადამიანი ცოცხალია, მისი სახელის დარქმევა არაფერზე არ შეიძლებაო.

მაია ჩიბურდანიძემ და ნონა გაფრინდაშვილმა თავიანთი მოღვაწეობის მანძილზე შეუძლებელი შეძლეს. ქართველ ხალხს თითებზე ჩამოსათვლელი გვყავს ისეთი ადამიანები, ვინც ასე კარგად გააცნო მსოფლიოს ჩვენი სული, ხალხი, საქართველო. ამიტომ ყოველი ქართველი ადამიანის მოვალეობად მიგვაჩნია, მხარი დაუჭიროს ჩვენს წინადადებას და შევძლოთ „შეუძლებელი“ (თუ ეს მართლა ასეა), და სიცოცხლეშივე უკვდავვყოთ მათი სახელი, ვინც ამის ღირსია. ბოლოსდაბოლოს, თუ დემოკრატიაა, დემოკრატია იყოს. ხალხს ასე სურს და ვის რა უფლება აქვს, ხელი შეუშალოს მას.

პატივისცემით,
**მევლუდ ბობოხიძე.**
წყალტუბო.

●◆●◆●

### ინფორმაცია

**როგორც** იცით, ისრაელის ქალაქ ხაიფაში მიმდინარეობს მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი. VI ტურში საბჭოთა გუნდმა დიდი ანგარიშით — 4:1 სძლია ლიდერს — იუგოსლავიის ნაკრებს და ნახევარი ქულით გაუსწრო მას. ახლა საბჭოთა მოჭადრაკეებს 23 ქულა აქვთ, იუგოსლავიელებსა და ინგლისელებს — 22,5-22,5.

# სიახლენი ფეხბურთის საკავშირო სტრუქტურაში

**სსრ კავშირის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა II ლიგის ოსტატ ფეხბურთელთა კატეგორიაში ჩამოაყალიბა სამი ახალი ზონა, თითოეულ მათგანში შევიდა 22-22 გუნდი. ეს არის ახალი, ე. წ. ბუფერული ზონები, ამ ზონებიდან მოხდება შემდგომში უშუალო გადასვლა I ლიგაში.

როგორც სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის დებულებით იყო გათვალისწინებული, უმაღლესი ლიგის გუნდების რაოდენობა უცვლელი დარჩა — 16. 1990 წელს სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებისთვის ითამაშებენ: „სპარტაკი“ (მოსკოვი), „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი), „დინამო“ (კიევი), „ჟალგირისი“ (ვილნიუსი), „ტორპედო“ (მოსკოვი), „ჩერნომორეცი“ (ოდესა), „მეტალისტი“ (ხარკოვი), „დინამო“ (მოსკოვი), „დინამო“ (მინსკი), „როტორი“ (ვოლგოგრადი), „დინამო“ (თბილისი), „არარატი“ (ერევანი), „პამირი“ (დუშანბე), „შახტიორი“ (დონეცკი), ლიგის შემადგენლობას შეუერთდნენ ცსკა და ლანჩხუთის „გურია“.

I ლიგაში კვლავ 22 გუნდი ითამაშებს: „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „ზენიტი“ (ლენინგრადი), „კაირატი“ (ალმა-ათა), „დინამო“ (სტავროპოლი), „ფაკელი“ (ვორონეჟი), „ტავრია“ (სიმფეროპოლი), „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე), „ნეფთჩი“ (ბაქო), „კოტაიკი“ (აბოვიანი), „ნისტრუ“ (კიშინიოვი), „გეოლოგი“ (ტიუმენი), „ფახთაქორი“ (ტაშკენტი), „ტორპედო“ (ქუთაისი), „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი), „კუზბასი“ (კემეროვო), „შინიკი“ (იაროსლავლი), „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე), „დინამო“ (ბათუმი), „ყუბანი“ (კრასნოდარი), „დინამო“ (სოხუმი), „ლოკომოტივი“ (გორკი), „ტექსტილშჩიკი“ (ტირასპოლი).

სოხუმის დინამოელებმა, გორკის „ლოკომოტივმა“ და ტირასპოლის „ტექსტილშჩიკმა“ I ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვეს გადასასვლელ ტურნირებში მოპოვებული გამარჯვების შედეგად, მაგრამ მომავალში ასეთი ტურნირები აღარ ჩატარდება. გუნდების გადასვლა I და II ლიგების გუნდებს შორის მოხდება უფრო გაიოლებული წესით: I ლიგის 3 აუტსაიდერის ადგილებს დაიკავებენ II ლიგაში ახლადშექმნილი სამხრეთ-დასავლეთის ზონის, რსფსრ-ის ევროპისა და აღმოსავლეთის ზონების გამარჯვებულები.

ახლადშექმნილი ზონების შემადგენლობანი ასეთია:

**სამხრეთ-დასავლეთის ზონა**

„ვოლინი“ (ლუცკი), „ბუკოვინა“ (ჩერნოვცი), „ნივა“ (ტერნოპოლი), „ზარია“ (ვოროშილოვგრადი), „ნივა“ (ვინიცა), „კრემენი“ (კრემენჩუგი), ასკ (ოდესა), „ვორსკლა“ (პოლტავა), ასკ „კარპატი“ (ლვოვი), ასკ (დონის როსტოვი), „დინამო“ (ბრესტი), „დნეპრი“ (მოგილიოვი), „ხიმიკი“ (გროდნო), **„კოლხეთი“ (ფოთი), „ლოკომოტივი“ (სამტრედია), „დილა“ (გორი)**, „ლორი“ (კიროვაკანი), „ზარია“ (ბელცი), „დაუგავა“ (რიგა), „ატლანტასი“ (კლაიპედა), „სპორტი“ (ტალინი).

**რსფსრ-ის ევროპის ზონა**

„კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი), „სოკოლი“ (სარატოვი), „ტორპედო“ (რიაზანი), „ტორპედო“ (ვლადიმირი), „ზარია“ (კალუგა), „ურალმაში“ (სვერდლოვსკი), „ზენიტი“ (იჟევსკი), „გასტელო“ (უფა), „ზვეზდა“ (პერმი), „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი), „მაშუკი“ (პიატიგორსკი), „თერგი“ (გროზნო), „ვოლგარი“ (ასტრახანი), „დრუჟბა“ (მაიკოპი), „დინამო“ (ბრიანსკი), „ბალტიკა“ (კალინინგრადი), „მეტალურგი“ (ლიპეცკი), „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი), „ტორპედო“ (ვოლჟსკი), „ნარტი“ (ჩერკესკი), „გოიაზანი“ (ყაზახი), „ქიაფაზი“ (კიროვაბადი).

**აღმოსავლეთის ზონა**

„ნეფტიანიკი“ (ფერღანა), „ნოვბახორი“ (ნამანგანი), „ეშლიკი“ (ჯიზაკი), „სპარტაკი“ (ანდიჟანი), „ავტომობილისტი“ (კოკანდი), „სურხანი“ (ტერმეზი), „ზარავშანი“ (ნავოი), „ტრაქტორი“ (პავლოდარი), „ცელინიკი“ (ცელინოგრადი), „მელიორატორი“ (ჩიმკენტი), „შახტიორი“ (ყარაგანდა), „ხიმიკი“ (ჯამბული), „მელიორატორი“ (კზილ-ორდა), „ეკიბაზსტუზეცი“ (ეკიბასტუზი), „ირტიში“ (ომსკი), „ზვეზდა“ (ირკუტსკი), „დინამო“ (ბარნაული), „ოკეანი“ (ნახოდკა), „ამური“ (ბლაგოვეშჩენსკი), „ალგა“ (ფრუნზე), „ვახში“ (ყურგან-ტიუბე), „კოპეტდაგი“ (აშხაბადი).

გათამაშების დამთავრების შემდეგ თითოეული ამ ზონიდან 4-4 ბოლო ადგილებზე გასული გუნდები შემდგომისთვის თავიანთ ადგილებს დაუთმობენ II ლიგის დანარჩენი 6 ზონის გამარჯვებულ გუნდებს. ამ 6 ზონიდან დაწინაურდებიან პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები.

## უსიამოვნო რეკორდი

**სსრ კავშირის** ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ შეაჯამა 1989 წლის საკავშირო ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელთა მიერ წესრიგის დარღვევათა შემთხვევები, რის შედეგადაც ყველაზე დისციპლინიან გუნდად მიიჩნიეს ერევნის „არარატი“. თბილისის დინამოელები ერევნელებს მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩნენ. ეს ორი გაფრთხილება რომ არა, „დინამო“ პირველად დაისაკუთრებდა ჟურნალ „ჩელოვეკ ი ზაკონის“ მიერ დაწესებულ „სამართლიანი თამაშის“ საპატიო პრიზს.

წლევანდელი ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ უმაღლეს ლიგას გამოეთიშა ორი გუნდი — ლენინგრადის „ზენიტი“ და მოსკოვის „ლოკომოტივი“. სწორედ ამ ორ აუტსაიდერს აქვს დაგროვებული ყველაზე მეტი საჯარიმო ქულა.

ცალკეულ ფეხბურთელთა შორის დარღვევათა თავისებური „რეკორდსმენია“ მოსკოვის „ლოკომოტივის“ მოთამაშე ს. გორლუკოვიჩი, რომელმაც 7-ჯერ დაიმსახურა ყვითელი ბარათი. თუ ამას დავუმატებთ, რომ ს. გორლუკოვიჩმა სსრ კავშირის პირველი ნაკრების შემადგენლობაშიც მიიღო გაფრთხილებები, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი უმაღლესი ლიგის ყველაზე უფრო უწესრიგო ფეხბურთელია.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას კიევის დინამოელ ო. კუზნეცოვის შესახებაც, რომელმაც შარშანდელ სეზონში 7 გაფრთხილება მიიღო, წლეულს კი 2 — კიევის „დინამოს“ შემადგენლობაში და კიდევ 3 გაფრთხილება საერთაშორისო მატჩებში. საერთოდ, კიევის „დინამოს“ ფეხბურთელები განსაკუთრებით გამოირჩევიან უხეშობით, წლეულს გუნდს ერთი გაძევება და 16 გაფრთხილება აქვს.

მოგვყავს უმაღლესი ლიგის ძირითად შემადგენლობათა საჯარიმო რეესტრი:

| | გაძ. | გაფრ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „არარატი“ | 1 | 8 | 13 |
| „დინამო“ თბ. | — | 15 | 15 |
| „ჩერნომორეცი“ | — | 16 | 16 |
| „სპარტაკი“ | — | 19 | 19 |
| „დნეპრი“ | — | 21 | 21 |
| „დინამო“ კ. | 1 | 16 | 21 |
| „მეტალისტი“ | — | 21 | 21 |
| „როტორი“ | 1 | 16 | 21 |
| „შახტიორი“ | — | 22 | 22 |
| „დინამო“ მნ. | — | 24 | 24 |
| „ტორპედო“ | 1 | 20 | 25 |
| „პამირი“ | — | 25 | 25 |
| „დინამო“ მ. | — | 25 | 25 |
| „ჟალგირისი“ | — | 26 | 26 |
| „ზენიტი“ | — | 26 | 26 |
| „ლოკომოტივი“ | — | 36 | 36 |

**შენიშვნა:** მინდვრიდან გაძევებული ფეხბურთელისთვის გუნდს ეწერება 5 საჯარიმო ქულა, გაფრთხილებისთვის — 1.

## „ზენიტის“ ახალი მწვრთნელი

**როგორც** „სოვეტსკი სპორტი“ იუწყება, ლენინგრადის საფეხბურთო კლუბს „ზენიტს“ მომავალ სეზონში ეყოლება ახალი მწვრთნელი. ლენინგრადში შედგა ქალაქის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელმაც განიხილა კლუბში შექმნილი კრიზისის საკითხი. მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს ვ. გოლუბევი, „ზენიტის“ ახალი მწვრთნელის პოსტზე განიხილეს 17 კანდიდატურა, მათ შორის იყვნენ გ. ზონინი, პ. სადირინი, ი. მოროზოვი და სხვანი.

საფეხბურთო კლუბ „ზენიტის“ მმართველობამ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებით საფეხბურთო გუნდის მთავარ მწვრთნელად დაამტკიცა სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. კონკოვი, რომელიც წარსულ წლებში გამოდიოდა დონეცკის „შახტიორში“, კიევის „დინამოში“ და სსრ კავშირის ნაკრებში, შემდეგ კი წვრთნიდა სიმფეროპოლის „ტავრიას“ და დონეცკის „შახტიორს“.

ლენინგრადის ფეხბურთის ფედერაციამ გააკრიტიკა „ზენიტის“ მმართველობის ეს გადაწყვეტილება, ვინაიდან იგი მიიღეს მხოლოდ ვიწრო წრის გადაწყვეტილებით და არა ფეხბურთის სპეციალისტთა ფართო წრეების მონაწილეობით. ქალაქის სპორტკომიტეტის კოლეგია და პროფკავშირების სპორტსაზოგადოების საოლქო საბჭოს პრეზიდიუმი დაეთანხმნენ ლენინგრადის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ საჭიროა სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ლენინგრადის „ზენიტის“ ხელმძღვანელობა გაძლიერდეს ფეხბურთის პროფესიონალი სპეციალისტებით, ხოლო ა. კონკოვი დაინიშნა „ზენიტის“ მთავარ მწვრთნელად.

## მსოფლიო ჩემპიონატს გამოტოვებს

**ფიფა-ს** სადისციპლინო კომიტეტმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო იუგოსლავიის ნაკრების ფეხბურთელის მეჯმედ ბაჟდარევიჩის თაობაზე, რომელმაც ხულიგნური საქციელი ჩაიდინა იუგოსლავიისა და ნორვეგიის გუნდების შესარჩევი მატჩის დროს. ბაჟდარევიჩი ახლა საფრანგეთის პირველი დივიზიონის კლუბ „სოშოს“ შემადგენლობაში თამაშობს.

ფიფა-ს გადაწყვეტილებით მ. ბაჟდარევიჩი ერთი წლით არის დისკვალიფიცირებული, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან მსოფლიო ჩემპიონატი უნდა გამოტოვოს.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

**ლისაბონი.** პორტუგალიის სუპერთასი, რომელიც ქვეყნის ჩემპიონსა და თასის მფლობელს შორის ორ მატჩად თამაშდება, მოიპოვეს „ბენფიკის“ ფეხბურთელებმა. განმეორებითი შეხვედრა „ბელენენსეშთან“ ისევე, როგორც პირველი მატჩი, დამთავრდა „ბენფიკის“ გამარჯვებით, ანგარიშით 2:0.

გამარჯვებულთაგან წლევანდელ სეზონში ბრწყინვალედ თამაშობს შვედი მატს მაგნუსონი. მან ბოლო შეხვედრაშიც გაიტანა „თავისი“ გოლი.

**მადრიდი.** ესპანეთის სამეფო თასის გათამაშების მეოთხედფინალში გავიდა მადრიდის „რეალი“. პრინციპულ შეხვედრაში მან დაამარცხა „ატლეტიკო“ — 2:0. ორივე გოლი მექსიკელი უგო სანჩესის ანგარიშზეა. ამ პოპულარული ტურნირის მეოთხედფინალში იასპარეზებენ, აგრეთვე, „კადისი“, „რეალ-სოსიედადი“, „ხიხონი“, „ბარსელონა“, „სარაგოსა“, „ვალენსია“ და „ვალიადოლიდი“.

**გლაზგო.** შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციამ განაცხადა, რომ ტრადიციული მატჩი შოტლანდიისა და ინგლისის ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც, ჩვეულებისამებრ, მაისში იმართება ხოლმე, 1990 წლის სეზონში არ შედგება.

— წელს ტრადიციას ვუღალატებთ, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ფედერაციის მდივანმა ერნი უოკერმა. — 1991 წელს მატჩი ჩვეულებისამებრ გაიმართება. საქმე ისაა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე ასეთი თამაშის გამართვა სახიფათოა, თუნდაც ხულიგან გულშემატკივართა გამო.

შოტლანდიისა და ინგლისის ნაკრები გუნდების შეხვედრა ს. როუზის თასის ტურნირის შემადგენელი ნაწილია. 1990 წელს ამ ტურნირში მონაწილეობა უნდა მიეღოთ არგენტინელებსაც, მაგრამ მათაც უარი განაცხადეს.

**მილანი.** ცნობილ ჰოლანდიელ ფორვარდ რუუდ გულიტს, რომელიც „მილანის“ შემადგენლობაში გამოდის, გაუკეთებენ მუხლის განმეორებით ოპერაციას. ამის გამო იგი შეიძლება ფეხბურთს გამოეთხოვოს მომავალი წლის გაზაფხულამდე. გულიტს კონტრაქტი უნდა განეახლებინა „მილანთან“ კიდევ 3 წლით, მაგრამ იტალიური კლუბის ხელმძღვანელობამ ჯერჯერობით ამ საკითხის გადაწყვეტა გადასდო.




## ჯილდოები გადაეცათ

**იტალიურმა** ჟურნალმა „გუერინ სპორტივომ“ საზეიმო შეხვედრა მოაწყო 1988-89 წლების ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეებთან, რომლებიც გულშემატკივრების გამოკითხვის შედეგად დაასახელეს.

პირველი ჯილდო გადაეცა დასავლეთგერმანელ ფეხბურთელს ანდრეას ბრემეს, რომელიც მილანის „ინტერში“ თამაშობს, მეორე — ბრაზილიელ კარლოს დუნგას („ფიორენტინა“), მესამე — ნიკოლა ბერტის („ინტერი“).

## რა მოუხერხონ ინგლისელ გულშემატკივრებს?

**როგორც** ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა განაცხადა, მისი ორგანიზაცია არ აპირებს აუკრძალოს ამ ქვეყნის გულშემატკივრებს იტალიაში მსოფლიო ჩემპიონატზე დასწრება. ამავე დროს იტალიელი ორგანიზატორები იუწყებიან, რომ ბილეთებს არ მიჰყიდიან იმ ინგლისელებს, ვინც არ იძლევა ჩემპიონატის დროს წესიერი მოქცევის გარანტიას. ახლა წინასწარი შეთანხმება ასეთია: იტალიაში ჩავა დაახლოებით 12 ათასი ინგლისელი ტურისტი, მაგრამ ინგლისის პოლიციამ მასპინძლებს უნდა გადასცეს სათანადო ცნობები თითოეულ მათგანზე.

## ცნობილ პიროვნებებს იწვევენ

**„ბაიერნის“** (მიუნხენი) კლუბის პრეზიდენტმა ფრიც შერერმა წერილები გაუგზავნა მსოფლიოს მთელ რიგ გამოჩენილ ადამიანებს და წინადადება მისცა ამ კლუბის საპატიო წევრები გახდნენ.

წინადადებას პირველი გამოეხმაურა აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი, რომელიც წარმოშობით გერმანიიდანაა და ამ ქვეყნის ფეხბურთის დიდ გულშემატკივრად ითვლება.

## მარადონა — ათწლედის ფეხბურთელი

**ჰოლანდიურმა** ჟურნალმა „პანორამამ“ ჩაატარა გულშემატკივართა გამოკითხვა. მათ უნდა გამოევლინათ 80-იანი წლების საუკეთესო ფეხბურთელი მსოფლიოში.

ასეთად ხმების უმრავლესობით მიჩნეულია არგენტინელი დ. მარადონა.

## ჩერედნიკისადმი ინტერესს იჩენენ

**როგორც** ინგლისური პრესა იუწყება, დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ ნახევარმცველს ალექსეი ჩერედნიკს მალე საცდელი მატჩი მოელის ინგლისის პირველი ლიგის კლუბ „საუთჰემპტონში“. ამ კლუბის მენეჯერმა კრის ნიკოლმა განაცხადა, რომ მან უკვე ნახა ერთი მატჩი ჩერედნიკის მონაწილეობით და მოეწონა კიდეც ამ ნახევარმცველის თამაში.

## „ბრავოს“ პრიზის მოსაპოვებლად

**იტალიური** ჟურნალი „გუერინ სპორტივო“ სპეციალურ პრიზს „ბრავოს“ ანიჭებს იმ ახალგაზრდა ფეხბურთელს (24 წლამდე), რომელიც განსაკუთრებით გამოიჩენს თავს ევროპულ ტურნირებში.

ჯერჯერობით პრიზის მთავარ პრეტენდენტად ითვლება „ფიორენტინას“ ნახევარმცველი ბაჯო, მეორეა პალიუკა (გენუის „სამპდორია“), მესამე — კიოგლი (მიუნხენის „ბაიერნი“).

ჯერ, რა თქმა უნდა, მთავარი ბრძოლა წინაა, ვინაიდან გაზაფხულზე უნდა განახლდეს ჩემპიონთა, თასების მფლობელთა და უეფა-ს თასების გათამაშება.

## როგორც ნამდვილი ბრიტანელი

**მადრიდის** „რეალის“ პრეზიდენტმა მენდოსამ მხარი დაუჭირა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების დებულების შეცვლას, მაგრამ გუნდის მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა, როგორც ნამდვილმა ბრიტანელმა, გაილაშქრა ყოველგვარი ცვლილების წინააღმდეგ.

— ვისაც ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მოპოვება სურს, ყველა ძლიერი მეტოქე უნდა დაამარცხოს, სულ ერთია, საწყის სტადიაზე მოხდება ეს, თუ ფინალურ მატჩში.

## პრეტენდენტი — ბერტი ფოგტსი

**გფრ-ის** ფეხბურთის ფედერაციამ მოკლე ხანში ერთი მნიშვნელოვანი საკითხი უნდა განიხილოს. ლაპარაკია იმაზე, რომ მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის შემდეგ ნაკრების მთავარი მწვრთნელი ფრანც ბეკენბაუერი თავისი თანამდებობიდან გადადგება და მენეჯერის ფუნქციების შესრულებას შეუდგება. მისი მოვალეობა იქნება სპონსორების გამოძებნა, სხვადასხვა ფინანსური პრობლემების გადაწყვეტა და ა. შ.

ბეკენბაუერს მწვრთნელის თანამდებობაზე ბერტი ფოგტსი შეცვლის, რომელიც ახლა გფრ-ის ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელია.

## კვლავ ზაგალო

**გამოჩენილი** ბრაზილიელი მარიო ზაგალო ორჯერ (1958 და 1962 წლებში) მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატებში როგორც ფეხბურთელი, ორჯერ კი მსოფლიო ჩემპიონატებში (1970 და 1974 წლებში) წვრთნიდა ბრაზილიის ნაკრებს.

ახლა ზაგალოს ერთხელ კიდევ მოუწევს მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრება, ამჯერად როგორც არაბთა გაერთიანებული საემიროების ნაკრების მწვრთნელს.

## ჰოლანდია — ბრაზილია 20 დეკემბერს

**მიღწეულია** შეთანხმება 20 დეკემბერს ქ. ეინდჰოვენში ჰოლანდიისა და ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის ამხანაგური მატჩის ჩატარების თაობაზე. იგი მიეძღვნება ჰოლანდიის ფეხბურთის ასოციაციის შექმნის 100 წლისთავს: თავდაპირველად ამ საიუბილეო მატჩში მონაწილეობის მისაღებად ინგლისის ნაკრების მიწვევაც იყო განზრახული, მაგრამ ჰოლანდიელები მოერიდნენ მოსალოდნელ კონფლიქტს, რომელიც ინგლისელი გულშემატკივრების ჩამოსვლისას მოხდებოდა.

## ორი პოლონელი „სელტიკში“

**პოლონეთის** ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანი, 26 წლის მცველი დარიუშ ვდოვჩიკი, რომელიც ვარშავის „ლეგიაში“ თამაშობდა, გლაზგოს „სელტიკში“ (შოტლანდია) გადავიდა. ეს კონტრაქტი „სელტიკს“ 400 ათას გირვანქა სტერლინგად დაუჯდა. ვდოვჩიკის გადაბირება „მანჩესტერ იუნაიტედსაც“ სურდა, მაგრამ მან მაინც შოტლანდიის კლუბი ამჯობინა, სადაც აგვისტოდან მოყოლებული კიდევ ერთი ცნობილი პოლონელი ფეხბურთელი, ნაკრების თავდამსხმელი დარიუშ ძეკანოვსკი გამოდის.

# „შხმო“ თამაშის პრიზიორები

**სპორტული** ბრიჯი მართლაც ყოველგვარ გარეგან ხმაურს მოკლებული თამაშია, ოღონდ შინაგანი დაძაბულობით ბევრ სპორტის სახეობას არ დაუდებს ტოლს. ყოვლად უხარ-ხეიმოდ ტარდება საკავშირო შეჯიბრებებიც.

ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, ქვეყნის ჩემპიონატი წყვილთა შორის ამ დღეებში ტარტუში გაიმართა. შეჯიბრების სისტემა მრავალსაფეხურიანი იყო (ორი შესარჩევი ტურნირი და ორიც — ფინალი) და ამდენად ყოველგვარი შემთხვევითობა გამოირიცხა. ამ „მცირე მარათონში“ წარმატებით გამოვიდა თბილისური წყვილი, ინჟინრები ნიკოლოზ ამირანაშვილი და ბორის ცხვარიაშვილი, რომლებმაც ოთხივე ტურის ჯამში მეორე ადგილი დაიკავეს. ეს აშკარად წინ გადადგმული ნაბიჯია, რადგან შარშან თბილისელთა საუკეთესო წყვილი მხოლოდ მეექვსე ადგილზე გავიდა.

სხვათა შორის, 32 ფინალისტს შორის შოხვდა 11 ესტონეთის, 9 მოსკოვის, 5 ლენინგრადის, 3 რიგის და თითო თბილისის, ხარკოვის, მინსკისა და ჩელიაბინსკის წყვილი.

# ოლიმპიური მოზაიკა

● **გერმანიის** დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტი ოლიმპიური სიმბოლიკის საერთაშორისო ბაზარზე გავიდა — ამ დღეებში ხელი მოაწერა კონტრაქტს „ინტერნეშნლ სპორტს, კალჩერ ენდ ლაისენსინგ აგ“-ის ფირმასთან. ეს კონტრაქტი გულისხმობს 1989-1993 წლების ორ დიდ საბაზრო პროგრამაში მონაწილეობას.

● **ფრისტაილის** თორმეტი ეროვნული ფედერაცია კატეგორიულად მოითხოვს, რომ ლილეჰამერის 1994 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ეს სახეობა წარმოდგენილი იყოს სამივე დარგით — მოგულით, აკრობატული ხტომებითა და სათხილამურო ბალეტით. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ფედერაციები უარს აცხადებენ ოლიმპიადაში მონაწილეობაზე.

● **ჩატარდება** თუ არა ცხენოსანთა ოლიმპიური ტურნირი ბარსელონაში? ეს საკითხი საცხენოსნო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ 1990 წლის ბოლომდე უნდა გადაწყვიტოს. ამ ფედერაციის წარმომადგენლის განცხადებით ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხასიათს მიიღებს კატალონიაში ამჟამად გავრცელებული ეპიდემია („ცხენის აფრიკული ჭირი“).

● **დასავლეთ გერმანიის** ოლიმპიური კომიტეტი მხარს უჭერს აშშ — საბჭოთა კავშირის შეთანხმებას დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე და გამოთქვამს სურვილს შეუერთდეს ამ პროგრამას. ამავე დროს გფრ-ს ოლიმპიური კომიტეტი მოითხოვს, რომ საბოლოო დოკუმენტს ხელი მსოფლიოს ყველა ქვეყანამ მოაწეროს.

● **იტალიელი** ძალოსნის პიეტრო პუიას განცხადებით ამ ქვეყნის ძალოსნობის ფედერაციის წარმომადგენლები სისტემატურად ამარაგებენ სპორტსმენებს აკრძალული სტეროიდებით. ამასთან დაკავშირებით იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა სპეციალური გამოძიება დანიშნა.

● **ლილეჰამერის** (ნორვეგია) ზამთრის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტად დაინიშნა ერთ-ერთი ცნობილი ბიზნესმენი, „აკეო ინდასტრიალ გროუპ“-ის ხელმძღვანელი, 50 წლის გერჰარდ ჰეიბერგი. ამ თანამდებობაზე პრეტენზიას აცხადებდა ნორვეგიის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი თორვალდ სტოლტენბერგიც, მაგრამ მან მოხსნა თავისი კანდიდატურა, როცა გაიგო, რომ თამაშების ჩატარებისთვის გამოყოფილი თანხა — 9 მილიარდი ნორვეგიული კრონი (1,3 მილიარდი ამერიკული დოლარი) არ იქნება ამ საქმისთვის საკმარისი.

● **სოკ-ის** პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩის აზრით ზამთრის ოლიმპიადების ჩატარება შეიძლება მიენდოს არა მარტო ერთ რომელიმე ქალაქს, არამედ რეგიონს ან, ასე გასინჯეთ, ორ მეზობელ სახელმწიფოსაც კი. ახლა ამ საკითხს სპეციალურად სწავლობს პრეზიდენტის მიერ დანიშნული კომისია.

# პრეტენდენტები გაისამდე

**გაიმართა** კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირების მორიგი, მესამე წრის მატჩები.

**I ჯგუფი**

შვეცია — რუმინეთი 85:81 (45:47) ბულგარეთი — საბერძნეთი 84:78 (39:44).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **საბერძნეთი** | 3 | 2 | 1 | 5 |
| **შვეცია** | 3 | 2 | 1 | 5 |
| **ბულგარეთი** | 3 | 2 | 1 | 5 |
| **რუმინეთი** | 3 | 0 | 3 | 3 |

**II ჯგუფი**

ბელგია — პოლონეთი 96:80 (46:30), ჰოლანდია — იტალია 83:84 (44:43).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **იტალია** | 3 | 3 | 0 | 6 |
| **ჰოლანდია** | 3 | 2 | 1 | 5 |
| **ბელგია** | 3 | 1 | 2 | 4 |
| **პოლონეთი** | 3 | 0 | 3 | 3 |

**III ჯგუფი**

გფრ — ინგლისი 110:87 (50:41), ესპანეთი — იუგოსლავია 97:108 (44:60).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **იუგოსლავია** | 3 | 3 | 0 | 6 |
| **ესპანეთი** | 3 | 2 | 1 | 5 |
| **გფრ** | 3 | 1 | 2 | 4 |
| **ინგლისი** | 3 | 0 | 3 | 3 |

**IV ჯგუფი**

საფრანგეთი — სსრ კავშირი 86:96 (44:50), ჩეხოსლოვაკია — ისრაელი 93:81 (51:38).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირი** | 3 | 2 | 1 | 5 |
| **ჩეხოსლოვაკია** | 3 | 2 | 1 | 5 |
| **ისრაელი** | 3 | 1 | 2 | 4 |
| **საფრანგეთი** | 3 | 1 | 2 | 4 |

მეორე წრის მატჩები გაისად ჩატარდება

# მეორე წრის მატჩები

**ნიუ-იორკი.** „მედისონ სკვერ გარდენის“ კორტებზე გაიმართა „მასტერსის“ მეორე წრის შეხვედრები. ერთ-ერთ ჯგუფში (რვა უძლიერესი ჩოგბურთელი ორ ჯგუფადაა დაყოფილი) ლიდერობა ხელთ იგდეს სტეფან ედბერგმა (შვეცია) და ბორის ბეკერმა (გფრ). მეორე ტურში მათ შესაბამისად ამერიკელი ჩოგბურთელები ბრედ ჯილბერტი და ანდრე აგასი დაამარცხეს (ერთნაირი ანგარიშით — 6:1, 6:3).

მეორე ჯგუფში ჯონ მაკინროუმ (აშშ) დაამარცხა თანამემამულე აარონ კრიკშტეინი 5:7, 6:3, 6:2. ამ ჯგუფში გამარჯვება აქვს მოპოვებული ჩეხოსლოვაკიელ ივან ლენდლსაც.

# კვლავ გაიმარჯვეს

**ორიოლში,** ჭაბუკ ძიუდოისტთა საკავშირო ტურნირში, მოკავშირე რესპუბლიკებისა (22 გუნდთან) და უნგრელ სპორტსმენებთან ერთად, მონაწილეობდა საქართველოს „შრომითი რეზერვებისა“ და თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სპორტსკოლების გაერთიანებული ნაკრები. ჩვენმა მოჭიდავეებმა ყველას აჯობეს გუნდურ ჩათვლაში. გარდა ამისა, მათ რვა საპრიზო ადგილი დაიკავეს. გამარჯვებები მოიპოვეს: დავით ბალახიშვილმა (53 კგ), გიორგი ოძელაშვილმა (83) და თამაზ ცოფურაშვილმა (90), მეორე ადგილებზე გავიდნენ: გიორგი მამისაშვილი (45), აკაკი ბერიძე (53) და ზურაბ ალექსაშვილი (90), მესამეზე — ზვიად დემეტრაშვილი (57) და არჩილ ხარებაშვილი (62).

# მოხეტიალე ჩოგბურთელი

**14 წლის** კარელ კოჟელუხი უკვე ცნობილ ჩოგბურთელად იქცა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მან საკმაო წარმატებებს მიაღწია სხვადასხვა შეჯიბრებაში. სულ მალე იგი საარსებო პირობების გასაუმჯობესებლად ჩეხოსლოვაკიიდან გაემგზავრა მიუნხენში, საიდანაც დაიწყო მისი ხანგრძლივი „ხეტიალი“ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ახალგაზრდა კოჟელუხი მუშაობდა ავსტრიაში, პოლონეთში, უნგრეთში, საფრანგეთში, იტალიაში, ჰოლანდიაში, ბელგიაში და ამერიკაში. მას, ჩოგბურთის გარდა, სხვა სერიოზული გატაცება ჰქონდა — ფეხბურთი. კორტზე ნაყოფიერი ვარჯიშისა და შრომის მიუხედავად, მაინც პოულობდა დროს ფეხბურთისათვის. ამერიკაში იგი 1922 წელს ჩავიდა და ქ. ტიპლიცის შესანიშნავ ფეხბურთელებთან ერთად მონაწილეობა მიიღო არგენტინისა და ურუგვაის გუნდებთან ამხანაგურ შეხვედრებში. მეორედ კოჟელუხი ამერიკაში 6 წლის შემდეგ მოხვდა, ოღონდ როგორც პროფესიონალი ჩოგბურთელი. იგი უნდა შეხვედროდა იმ დროის მსოფლიო ჩემპიონს პროფესიონალებს შორის ვანსენტ რიჩარდსონს, რომელიც 1924-26 წლებში დევისის თასს დაეუფლა.

კარელ კოჟელუხმა მანამდე ბრწყინვალედ ჩაატარა ტურნე ევროპაში, ინგლისსა და პრაღაში შეხვდა რიჩარდსონს და ორივეჯერ დაამარცხა იგი.

მისმა პირველმა თამაშმა ნიუ-იორკში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. აი, რას წერდა ყოველდღიური გაზეთი „უორლდსი“: „ჩეხოსლოვაკიელმა კარელ კოჟელუხმა უკომპრომისო და ულამაზეს ორთაბრძოლაში დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი ვინსენტ რიჩარდსონი 6:3, 3:6, 6:3. 32 წლის ეს უსწრაფესი ჩეხი თამაშობდა ისე, თითქოს ბოლო 10 წლის განმავლობაში არც ერთი პარტია არ ჰქონდა წაგებული. შეხვედრას დაესწრო 4200 გულშემატკივარი, თუმცა სტადიონზე იყო 3500 ადგილი. ასობით ადამიანი სტადიონთან მიმდებარე სახლების ფანჯრებიდან უცქერდა ამ შესანიშნავ ორთაბრძოლას. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში კვირაობით იკრძალებოდა პროფესიონალთა შეხვედრების გამართვა, მატჩი მაინც ჩატარდა, სადაც კოჟელუხმა დაამტკიცა, რომ იგი უძლიერესი და განუმეორებელი ჩოგბურთელია. ამ შეხვედრის შემდეგ მისმა რეპუტაციამ კიდევ უფრო აიწია“.

მატჩი, რომელმაც უდიდესი სიამოვნება მიანიჭა ამერიკელებს, დაახლოებით 2 საათს გაგრძელდა. მისი ორგანიზატორები ხშირად მოუწოდებდნენ მაყურებლებს დაეცვათ სიწყნარე, მაგრამ ისინი ვერ იკავებდნენ თავს და აღფრთოვანებაში მოდიოდნენ ბრწყინვალედ გათამაშებული ბურთების ხილვით. აი კიდევ ერთი ამონაწერი გაზეთ „სპო-



კარელ კოჟელუხი

რტიდან“: „რიჩარდსონს შეეძლო მოეგო მე-19 მატჩი 20-დან, მაგრამ მისი მეტოქე კარელ კოჟელუხი უკანვე უბრუნებდა ძლიერად დარტყმულ ბურთებს. მოწოდებას კოჟელუხი ასრულებდა საკმაოდ ძლიერად და აზარტულად“.

ამავე წელს შემოდგომაზე ფორესტ-ჰილში რიჩარდსონმა რევანშის აღება შესძლო. მთელი მატჩის განმავლობაში განუწყვეტლივ წვიმდა, რამაც მოედანი საკმაოდ აატალახა, კოჟელუხმა გაიხადა კედები და წინდებში გააგრძელა შეხვედრა, მაგრამ თამაშისთვის ურთულესმა პირობებმა მაინც არ მისცა საშუალება ეჩვენებინა თავისი მაღალი კლასი. თამაში რიჩარდსონმა 4 პარტიაში მოიგო.

მოგვიანებით ორივე ჩოგბურთელმა ერთად მოაწყო ხანგრძლივი ტურნე ამერიკისა და კანადის დიდ ქალაქებში, რის შემდეგაც კოჟელუხი დაბრუნდა პრაღაში. მას ხშირად იწვევდნენ სხვადასხვა შეჯიბრებებზე, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ისეთი ცნობილი ოსტატები, როგორებიც იყვნენ: ტილდენი, პერი, ოსტინი, ვაინსი, ბაჯი და რიჩარდსონი. ასეთი ხანგრძლივი მოგზაურობების შემდეგ კოჟელუხი თავს ნახევრად ამერიკელად თვლიდა. იგი ამერიკაში გაემგზავრა ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციამდე ცოტა ხნით ადრე. ომის წლებში მუშაობდა მწვრთნელად მაიამისა და ფლორიდის საჩოგბურთო კლუბებში და რიჩარდსონთან და ტილდენთან ერთად მოგზაურობდა ამერიკაში, სადაც მთელ რიგ საჩვენებელ მატჩებს ატარებდნენ. შემოსული თანხა კი იგზავნებოდა წითელი ჯვრისა და შეიარაღებული ძალების ფონდში. ჰოლივუდში ამ მატჩებს ესწრებოდა ყველა ცნობილი კინოვარსკვლავი. ჩარლი ჩაპლინმა თავისებური კომენტარი გაუკეთა კოჟელუხ-ტილდენის შეხვედრას: „ორივე ისე სწრაფად თამაშობს, რომ პირდაპირ გაკვირვებული ვარ, რა საჭიროა ორივეს მოედანზე გამოსვლა. ხომ არ დაგვეტოვებინა კორტზე მხოლოდ რომელიმე მათგანი? იგი უეჭველად დაეწეოდა მის მიერვე დარტყმულ ბურთს და ასე გააგრძელებდა თამაშს, ორივე თამაშობდა ბრწყინვალედ, მაგრამ მე ვხედავ, რომ დიდ ჩოგბურთელებს კინოვარსკვლავების ბედი აქვთ. ჩოგბურთის გულშემატკივრებიც მატჩის დროს სულ მუდამ თავს აქნევენ“.

კარელ კოჟელუხი ამერიკაში ომის დამთავრებამდე დარჩა. იგი საერთაშორისო კლასიფიკაციაში ერთეულთა შორის მეექვსე ადგილზე იმყოფებოდა, ხოლო წყვილთა შორის (რიჩარდსონთან ერთად) პირველი იყო.

მისი შესანიშნავი სპორტული კარიერის შედეგები ასეთია: ორგზის მსოფლიო ჩემპიონი პროფესიონალებს შორის და სამგზის გამარჯვებული ამერიკელ პროფესიონალებში.

1945 წელს იგი დაბრუნდა ჩეხოსლოვაკიაში, სადაც უდიდესი გამოცდილების მქონე ჩოგბურთელმა დაიწყო ქვეყნის ნაკრების მზადება დევისის თასის გათამაშებისათვის.

სამწუხაროდ, 1950 წელს ავტოკატასტროფამ იმსხვერპლა მსოფლიო ჩოგბურთის ერთ-ერთი უნიჭიერესი წარმომადგენელი.

პუბლიკაცია მოამზადა
**ალექსანდრე ჯიბლაძემ.**

# სპორტული ჟურნალისტების აზრით

**ინგლისის** სპორტულ ჟურნალისტთა შორის ჩატარდა გამოკითხვა: დაესახელებინათ 80-იანი წლების № 1 სპორტსმენი მსოფლიოში. 31 ხმით უძლიერესად აღიარეს დიეგო მარადონა (ფეხბურთი). 23 ხმით მეორეა მძლეოსანი კარლ ლიუისი. 19 ხმა მიიღო აგრეთვე მძლეოსანმა ედვინ მოზესმა, 15 — გოლფის მოთამაშე სევერიანო ბალესტეროსმა, 12 — მოკრივე შუგარ რეი ლეონარდმა, 8 — მძლეოსანმა სებასტიან კოემ.

# სერიოზული ბრალდება თუ შანტაჟის ცდა?

**„ნარკომანი** დიდხანს ვერ იცოცხლებს“, — განუცხადა სტოკჰოლმის გაზეთ „ექსპრესენის“ კორესპონდენტს ცნობილი ჩოგბურთელის ბიორნ ბორგის ყოფილმა მეუღლემ იანიკე ბიორლინგმა, ორი წლის რობინ ბორგის დედამ. მან თქვა, რომ ბორგის გაცნობიდან რამდენიმე თვის შემდეგ ჩოგბურთელი აიძულებდა მას ერთად მიეღოთ კოკაინი. ასე ატარებდნენ მეუღლეები 1984 წლის საღამოებს ნიუ-იორკში. იანიკე ბიორლინგმა ეს „საქმიანობა“ მაშინ შეწყვიტა, როცა ფეხმძიმობა იგრძნო.

როგორც ბორგის ვექილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ყოველივე ეს მტკნარი სიცრუეა და ბიორლინგი მხოლოდ შურისძიების მიზნით სწამებს ცილს ყოფილ მეუღლეს, რომელთანაც გაჭიანურებული ფინანსური დავა აქვს.

# „სპორტპროგნოზი“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1989 წლის 48-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 2.915.552 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (23), მოგება 1.901 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (909) — 96 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (15.265) — 20 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 137 601 ვარიანტი. 13 — 0, 12 — 39, 11 — 646.

48-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 16 დეკემბრიდან 1990 წლის 16 იანვრის ჩათვლით.

• • •

# „სპორტლოტო“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1989 წლის 48-ე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 1.484.633 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცნია, 5 ნომრის გამოცნობისთვის (18) მოგება 3.988 მანეთია, ოთხისთვის (1.401) — 47, სამისთვის (28.354) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 32.326 ვარიანტი. 6-0, 5-0, 4-47, 3-627.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 15.861.734 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (36) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (5.514) — 129, სამისთვის (186.814) — 7.

საქართველოში: დაშვებულია 411.589 ვარიანტი. 5-1 (ქუთაისი), 4-139, 3-5.001.

48-ე და 39-48 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1989 წლის 16 დეკემბრიდან 1990 წლის 16 იანვრის ჩათვლით.

რედაქტორი
**თ. ბაჩეჩილაძე.**

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55;
ხამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „შართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10531